№ 222 22 ქრისტეშობისთვე, ხუთშაბათი 1866—1877 22 ქრისტეშობისთვე, ხუთშაბათი № 222

ᲣᲚᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲓᲠᲝᲔᲑᲐ

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲣᲛᲔᲠᲘ ᲚᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲗ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ив. Амираговის სახლში, № 8.

ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐ: სერგიევის ქუჩაზე, Ив. Амираговის სახლებში, № 8.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲬᲔᲠᲐ მიიღება კანტორაში. Бареше мцховрებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ: ფიქტიანოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით ცტროქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის სიცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲛᲬᲛᲐᲕᲐᲚ 1878 ᲬᲔᲚᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

„ᲓᲠᲝᲔᲑᲐ“

ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲐ ᲘᲛᲐᲕᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲓᲦᲔᲛᲓᲘᲜ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲘᲝᲓᲐ ᲮᲝᲚᲛᲔ.

ᲐᲛ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐᲛ ᲓᲐᲒᲕᲐᲠᲬᲛᲣᲜᲐ ᲩᲕᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲧᲝᲕᲔᲚ-ᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲐᲡ ᲨᲔᲐᲓᲒᲔᲜᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲢᲝᲛ

ᲛᲬᲛᲐᲕᲐᲚ ᲬᲔᲚᲡᲐᲪ „ᲓᲠᲝᲔᲑᲐ“ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲓᲦᲔ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲐ,

გარდა ორშაბათისა და უქმეების შემდეგ დღეებისა.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲬᲔᲠᲐ

Тфилисში—„მიიღება დროების“ რედაქციაში (სერგიევის ქუჩაზე, Ив. Амираговის სახლებში).

Бареше мцховрებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ. Въ Редакцію „Дроэба“.*

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐ

მთელის წლისა	8 მან.	„ კაპ.
ექვსის თვისა	4 „	50 „
ოთხის თვისა	3 „	„ „

მხოლოთ ამ ვადებით შეიძლება მომავალის წლიდამ გაზეთის დაბარება. უმორჩილესი თხოვნა ხელის-მომწერელებსა და აგენტებს: **ᲮᲕᲔᲓᲠᲘ ᲤᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐ ᲘᲛᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐ-ᲗᲐᲜᲐᲕᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲥᲛᲜᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲘ;** თუ არ თავის აგენტების საშუალებით, ისე რედაქცია უფულოთ გაზეთს არავის არ გაუგზავნის.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 17 დეკემბერს. ლონდონის ბაღში იყო ორი კრება მუშებისა; ერთს შეადგენდნენ რუსეთის მომხრეები და მეორეს ოსმალეთის თანამგრძნობნი. სულ 6,000 კაცამდინ იყვნენ შეკრებილნი. ბევრი სიტყვები წარმოითქვა, მაგრამ, ხმაურობის გამო, არა ისმოდა-რა. ბოლოს ამ ორ კრებას შუა ჩხუბი მოხდა და პოლიცია გაერია.

ოსმალეთის თანამგრძნობმა კრებამ დასდვა განჩინება, რომ ყველაფერში ხელი მოუწყონ მთავრობას, თუ ის საჭიროდ დაინახავს, რომ რუსეთს ომი გამოუცხადოს. მეორე პარტია კი წინაადმდეგი იყო მისა, რომ ინგლისმა რუსს-ოსმალოს ბრძოლაში რაიმე მონაწილეობა მიიღოს.

ᲑᲐᲥᲩ, 20 დეკემბერს. თემირ-ხან-შურასა და ბუნიბს შუა ფოჩტის გზა 24 ნოემბერს გაიხსნა ხელ-ახლად და თემირ-ხან-შურასა და ᲓᲐᲠᲣᲑᲐᲜᲓᲡ შუა კი 15 ქრისტეშობისთვეს.

ᲝᲛᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲐᲖᲘᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲓᲐᲛ

მუხთარ-ფაშას შემდეგი დეპეშა გაუგზავნია არზრუმიდამ სტამბოლში ამ ქრისტეშობისთვის 12-ს:

„ᲑᲣᲨᲘᲜ დილით რუსის ჯარები ᲓᲔᲕᲔ-ᲑᲝᲠᲘᲜᲘᲓᲐᲛ ჩამოვიდნენ და ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲡ მიუახლოვდნენ; ამათ წინაალმდეგ გავგზავნეთ ჩვენ ცხენოსანი ჯარი, რომელიც ცოტა ხნის სროლის შემდეგ უკან დაბრუნდნენ. რუსებმაც აგრეთვე ᲓᲔᲕᲔ-ᲑᲝᲠᲘᲜᲘᲡᲐᲙᲔᲜ დაიწყეს.

„რუსებს კიდევ მოუვიდათ აქ ახალი ჯარები.“

—

სტამბოლიდამვე 12 დეკემბერს მოსული ტელეგრამმა გვატყობინებს, რომ რუსებს რამდენიმე სოფელი უჭირავთ ახლა არზრუმის არე-მარეში და, უეჭველია, რომ ისინი მალე სრულებით გარს-შემოერტყმიან ამ ქალაქსაო; ჯერ-ჯერობით კი ᲢᲠᲐᲞᲘᲖᲝᲜᲘᲡ გზა შეკრული არა გვაქვსო.

—

ნემეცურ გაზეთს „Presse“-ში იწერებიან 6 დეკემბერს ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲘᲓᲐᲛ:

„დიდი თოვლისა და სიცივეების გამო რუსის ჯარები იძულებული შეიქნენ, რომ ᲓᲔᲕᲔ-ᲑᲝᲠᲘᲜᲘ დაეტოვებინათ; მხოლოთ მცირე გარნიზონი დასტოვეს აქ, დანარჩენი ჯარი კი სოფ. ზამალამაღში დააბინავეს.

„ᲣᲐᲠᲡᲘᲓᲐᲛ გამოგზავნილი ზარბაზნები შუა გზაზეა, რადგან, ამავე ღრმა თოვლის გამო, ურმები ვერ მოდიან.“

—

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘᲡ სარდალს ᲓᲔᲠᲕᲘᲨ-ᲤᲐᲨᲐᲡ შემდეგი დეპეშა გაუგზავნია 28 გასულ ნოემბერს თავის მთავრობისათვის სტამბოლში:

„ᲐᲛ უკანასკნელ დღეების განმავლობაში რუსები თითქმის გაუწყვეტელივ ისვრიან ზარბაზნებს ჩვენ პოზიციებისაკენ ᲩᲣᲠᲣᲥ-ᲡᲣᲨᲘ. იმათ დაუშინეს აგრეთვე ᲮᲣᲪ-ᲣᲑᲜᲘᲓᲐᲛ ზღვაში გაჩერებულ ჩვენ ᲯᲐᲔᲨᲜᲘᲐᲜ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲔᲑᲡᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ამ სროლისაგან ჩვენ არავითარი ზარალი არ გვეძლევა.“

—

ᲘᲒᲘᲕᲔ ᲓᲔᲠᲕᲘᲨ-ᲤᲐᲨᲐ იწერება 29 ნოემბერს:

„ᲑᲣᲨᲘᲜ ᲝᲠᲘ რუსის ბატალიონი გამოვიდა ᲮᲣᲪ-ᲣᲑᲜᲘᲓᲐᲛ ჩვენი პოზიციებისა და ჯარების დასათვალიერებელად. მაგრამ გზაზე იმათ უეცრად დაეცა დამალული ჩვენი ჯარები, დაამარცხეს და იძულებული გახადეს, რომ სიდამაც მოვიდნენ, ისევ იქითკენ დაბრუნებულიყვნენ.“

—

გაზეთის „Голосъ“-ის № 297-ში დაბეჭდილია „ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲓᲐᲛ“, რომლის ავტორი უფ. ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ ამტკიცებს, რომ მცირე ᲐᲖᲘᲘᲡ ქვეშევრდომნი ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡᲐ ᲑᲔᲒᲔᲠᲐᲓ უფრო წვალებულნი, წამებულნი და დატანჯულნი არიან ოსმალებისაგან, ვიდრემ ამ სახელმწიფოსიეᲔᲕᲠᲝᲠᲐᲗᲘᲡ ქვეშევრდომნი—ᲡᲚᲐᲕᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡᲐ.

„ᲛᲣᲡᲣᲚᲛᲐᲜᲘᲡ ფანატიზმს აქ (ᲐᲖᲘᲐᲨᲘ) ფართო ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲐᲖᲘᲘᲡ ქრისტიანების შეეიწროებისა და იმათ გამაᲰᲛᲐᲓᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲐᲥ ისინი ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲗᲐ და ᲮᲠᲛᲚᲘᲗ მოქმედებდნენ ქრისტიანების წინაალმდეგ. 1829 წელს ᲐᲚᲐᲨᲙᲔᲠᲗᲘᲡᲐ და ᲧᲐᲠᲡᲘᲡ ქრისტიანი მცხოვრებლები ᲪᲠᲔᲛᲚᲘᲗ ᲔᲕᲔᲓᲠᲣᲑᲝᲓᲜᲔᲜ თავის განმათავისუფლებელ რუსებს, რომ რუსეთში შეეფარონ და დაასახლონ.

„ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ სომხები და ქართველები

ახლანდელ ომს ისე უყურებენ, როგორც ოსმალოს მძიმე უღლისა და წვალებისაგან განმათავისუფლებელს... უზენაესს ეევდრებიან ესენი ჩვენი ჯარის გამარჯვებისათვის...

„რადგან მუსულმანთა ფანატიზმი ამნაირად არის ახლა აღძრული, ამიტომ ამ ხალხიხ ძველს მდგომარეობაში დატოვება, უეჭველია, იმათ ამოწყვეტას უდრის...“

ყველა ამ გარემოებისა და ამას გარდა სხვა-და-სხვა სტრატეგიული მოსაზრების გამო, ავტორი უფ. წერეთელი (1) ამტკიცებს, რომ რუსეთმა, სხვა თუ არაფერი, უარსის მაზრა, ართაანი მტკვრისა და ჩოროხის სათავით ბაიბურთამდინ და ბურჯი-ბოლაზის მთამდინ მაინც უნდა ჩამოაცალოს ოსმალეთსაო... ეს ძალიან მცირე მოთხოვნილება იქნება რუსეთის მხრითაო..

ყველაფერ ამას ამბობს უფ. ბ. წერეთელი... ბ. წერეთელი ამბობს ამას....

—

უადგილო არ იქნება აქვე მოვიყვანოთ პატარა ნაწყვეტი იმ კორრესპონდენციისა, რომელიც გუშინდელ „თფილისის მოამბის“ ნომერში (270) იყო დაბეჭდილი:

„... მიეიდნენ თუ არა ჩვენი ჯარები დალი-ბაბაში, იმ წამსვე ახლო-მახლო სოფლებიდამ სომხებმა დიდ-ძალი ხორაგი მოიტანეს გასასყიდლად; ბაზარი გაცხოველდა და ერთის საათის განმავალობაში ჯარებმა ყველაფერი დაიტაცეს.

„აქაური მცხოვრებლები (არზრუმის მახლობლად დასახლებული სომხები და საზოგადოთ ქრისტიანები) სრულებით არ გვანან დაჩაგრულ და შევიწროებულ ხალხს; სახე ლამაზი აქვთ, სუფთად, კოხტურად აცვიათ და, როგორც ბაზარში გასასყიდლად გამოტანილ ჭირნახულზედ ეტყობათ, ცხოვრებითაც კმაყოფილებით უნდა ცხოვრებდნენ.

„ისინი არ სჩივიან ოსმალოების მხრით შევიწროებაზედ და თავიანთ სოფლებიდამ ფეხიც არ მოუცვლიათ.

„ამ გვარი მოვლენა (შეუვიწროებელი და კმაყოფილი ცხოვრება ხალხისა) შევნიშნეთ ჩვენ აგრეთვე სხვა სოფლებშიაც, რომელნიც დალი-ბაბას იქით მდებარებენ, არზრუმის გზაზედ....“

ევროპის ბრძოლის ველიდამ

ნემეცურს „აუგსბურგის ბაზეთის“ უკანასკნელ ნომერში ასე არის გამოანგარიშებული ოსმალოს სამხედრო ძალის; რიცხვი ევროპის ბრძოლის ველზე:

„სულეიმან-ფაშამ მიატოვა ბოლგარიის ციხე-ქალაქები და თავის ჯარით ბალკანის მეორე მხრისაკენ დაიწია. იმან, რომ თან წაიყვანოს ყველა ის ჯარები, რაც ოსმალოს ბაზარჯიყსა და ბალჩიკს შუა ჰყავს (15,000 კაცი 42 ზარბაზნით) და აგრეთვე შიპკოს კორპუსი (35,000), შეუძლიან მოაგროვოს ადრიანოპოლთან 100,000 კაცი 350 ზარბაზნით.

„ამას გარდა ბოლგარიაში დარჩება: რუსჩუკში—10,000 კაცი გარნიზონი 24 ზარბაზნით (აჰმედ-აიზერლიფაშა), სილისტრიაში — 8,000 გარნიზონი 12 ზარბაზნით, ვარნაში—8,000 კაცი 38 ზარბაზნითა და შუმლაში 10,000 კაცი 24 ზარბაზნით (თაქირ-ფაშა).

„სულ 150,000 კაცამდინ.

რუსებს კი, ამავე გაზეთის ანგარიშით, ევროპის ბრძოლის ველზედ სამი ამდენი ჯარი ჰყავთ.

ლონდონის „Daily Telegraph“ გვაცნობებს, რომ შიპკოს კორპუსის უფროსი აჰმედ-ეიუბ-ფაშა მომეტებული ნაწილი თავის ჯარით წასულა შიპკოდამ და სოფიისაკენ მიდისო; შიპკოს ქედის გასამაგრებელად კი ცოტაოდენი ჯარი დაუტოვებია.

—

გაზეთს „Presse“-ში იწერებიან 8 დეკემბერს ბუხარესტიდამ:

„აქ ახალი რუსის ჯარები მოვიდა. ყველა ამათ ბრძენება აქვთ მიღებული, რომ პირ-და-პირ რუსჩუკისაკენ გაემგზავრონ. ამბობენ, რუსებს განზრახვა აქვთ, რომ ახლავე შემოარტყან ჯარები ამ ქალაქს, დაამწყვდიონ იქ მყოფი ოსმალოს გარნიზონი და ამნაირად მოკლე ხანში აიღონ ეს ციხე-ქალაქი.“

—

„ვენევის ჟურნალში“ დაბეჭდილია შემდეგი დეპეშები 5 დეკემბერს ლონდონიდამ მიღებულნი:

„40,000 კაცი რუსის ჯარი ორხანიესაკენ მიდის.

„ინგლისის გაზეთებში იწერებიან, რომ ოსმან-ფაშამ თავი მოიკლაო. „Daily Telegraph“, სხვათა შორის, ამბობს, რომ ოსმან-ფაშის თავის მოკლის მიზეზი ის იყოო, რომ დოქტორებმა უთხრესო, რომ ფეხი უნდა მოგჭრათ, თორემ ისე დაჭრილობისაგან ვერ განთავისუფლდებიო“.

ეს უკანასკნელი ამბავი რომ მართალი იყოს, რაღა თქმა უნდა, რომ ამას ჩვენ ოფიციალური წყაროდამ შევიტყობდით, რადგან, როგორც მოგეხსენებათ, ოსმან-ფაშა ახლა რუსის მმართველობის ხელშია.

—

რუსულ გაზეთს „Новое Время“-ში იწერებიან, რომ ის ამბავი, რომ ოსმან-ფაშა თავის ჯარით პლევნოდამ გამოსელას აპირებსო, უცნობებია რუსებისათვის ერთს ბოლგარიელს, რომელიც წინალამეს მისულა რუსის ბანაკში და უთქვამს, რომ ყველა ჯარებს ბრძანება აქვსთ მისულიო, რომ ხვალ დილით ადრიანათ რუს-რუმინების ჯარების გასაპობათ და პლევნოდამ გასასვლელად მოემზადენითო.

—

ბუხარესტიდამ იწერებიან, რომ შარკოიისაკენ მიმავალ სარბის ჯარზე გზაზე დახვდა წინ ოსმალოს ერთი ბატალიადი, დაამარცხა და უკან დააბრუნაო.

მოგრიგების თამაშაზე

ამბობენ, ინგლისს განზრახვა აქვსო, რომ, თუ ვინიცობაა რუსეთმა ევროპის სხვა სახელმწიფოების დაუკითხავათ მოურიგდა ოსმალეთს და მოურიგდა იმ პირობით, რომელსაც თხოულობს, მაშინ ის (ინგლისი) ერთის მხრით ეცდება, რომ მთელი ეგვიპტე ჩაიგდოს ხელში და მეორეს მხრით დაინარჩუნოს აგრეთვე ოსმალოს სამხედრო ფლოტი, რომელიც იმასა აქვს დაგირავებული.

საქართველო

ღღიური

*** ბუშინ საღამოს ექვსი საათის ნახევარზე, სოლოლაკზე, ქავკასიის ნამესტნიკის მთავარ სამმართველოს უფროსის თანამდებობის აღმასრულებელის სადგომის წინ, შეიქნა ერთი საშინელი ყვირილი და დამბაჩის სროლა. აღმოჩნდა, რომ ვიღაც ავაზაკები დასცემიან დესიატნიკებსა, ერთი იმათგანი მოუკლავთ დიდი დანით, მეორეც დაუჭრიათ და რევოლვერის სროლითა და კიჟინით გაქცეულან: არ იქნა, დაიჭით, ავაზაკები მორბიანო...

ამბობენ, რომ ორი ამ ავაზაკთაგანი დღეს, ოთხშაბათ დილით, ქუკიის ხიდზე დაიჭირესო.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ერთს თფილისელ ნემეცს განზრახვა აქვსო, რომ ჩვენს ქალაქში ქაღალდის ქარხანა გახსნასო, რომელშიაც ყოველგვარი ქაღალდი გაკეთდებაო.

რაღა თქმა უნდა, რომ ეს ამბავი, თუ კი ასრულდა, მარტო ჩვენთვის, გაზეთების გამომცემლებისათვის, კი არ იქნება სასარგებლო და სასურველი, არამედ ყველასათვის. ახლა, ამ ომიანობისა და უგზობის გამო, ქაღალდი ერთობ გაძვირდა ჩვენში და ქარხანის გახსნა, უეჭველია, ამ მხრით დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენს მხარესა და, რასაკვირველია, ამასთანავე იმ ქარხანის პატრონსაცა.

*** სხვათა შორის, ქალაქის მეწისქვილებზედაც დაიწყეს ჩივილი. დღემდინ დასაფქვავს ფუთზე ორ შაურს იღებდნენო და დღეს კი ამაზზე ნაკლებ არავინ ფქვავსო.

*** ყურადღების ღირსია, რომ ამ წელიწადს ქალაქში ძალიან ბევრი მშობიარე ქალები დაიხოცნენ. ჩვენ გვაცნობებენ, რომ მარტო მთა-წმინდაზე ამ რამდენიმე დღის განმავალობაში ოთხი მელოგინე ქალი გადაიცვალაო.

ამის მიზეზი ერთის მხრით სიძვირეა ყოველ-გვარის აუცილებელად საჭირო ნივთებისა, საჭმელ-სასმლისა, სადგომისა და სხვ., და მეორეს მხრით ცუდი ტა-

როსები, რომელიც ამ უკანასკნელ კვირეებში დაიჭირა.

*** ქუთაისიდამ გვწერენ, რომ ამ მოკლე ხანში იქ, რამდენიმე ყმაწვილი კაცის თაოსნობით, იმართება წიგნის მაღაზია, რომელიც უმთავრესს ყურადღებას ქართული წიგნების ვაჭრობას მიაქცევსო.

ჩვენ გავიგეთ, რომ ამ გვარი წიგნის მაღაზია აგრეთვე ჩვენს ქალაქშიაც იმართება.

რაღა თქმა უნდა, რომ ამ საქმის სისრულეში მოყვანასა და კარგათ წაყვანას ჩვენ დიდის სიამოვნებით ვინატრით და მოველით.

*** ქართლიდამ გვწერენ, რომ ამ ჟამად იქითკენ, განსაკუთრებით ქსანს ზევით, ძალიან სიცივეები და ხმელი ყინვები დაიჭირა.

მწერალი ადვოკატები

მადლობა ღმერთსა, ამასაც მოვესწარით! ზოგიერთი ვაჭბატონები, ოღონდ თავისმა ბატონმა მოწყალების თვალით უყურონ, და ყოველივე მის ნაკლულევანებას ჰფარავენ და საქვეყნოთ გამოაყავსთ როგორც ერთი ვინმე დიდი სასარგებლო პირი საზოგადოებისათვის.

ამისთანა მწერალ-ადვოკატებს ეკუთვნის სწორეთ „თფილისის მოამბის“ № 274 ქუთაისელი კორრესპონდენტი და „დროების“ მე-216-ის ფელეტონში მოხსენებული უ. ამილახვარი. სწორეთ შესანიშნავია ეს მწერალი-ადვოკატები.

ერთ დროს იბეჭდება გაზეთებში: ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში ცუდათ მიდის საქმეო; იქ მოთავე პირი არავინ არისო, სამღვდელოების ყრილობას არა აქვს სრული უფლება მინიჭებულიო, უთავბოლოთ ქირაობენ სასწავლებლისათვის სახლსა და სხვ. ეხლა ქუთაისელი კორრესპონდენტი სხვათა შორის ამბობს: უკანასკნელმა ყრილობამ დიდი სასარგებლო საქმეები გადაწყვიტა და დაადგინაო; საავათმყოფო სახლის ყიდვა დაადგინა, მეხუთე კლასი გახსნაო. ამას წინეთ იყო ნათქვამი, რომ სასწავლებლის ზედამხედველმა ოთახები გამონახა სასწავლებელში და გააკეთაო; ამასთან „ეპარხიის უწყებაების“ გამოცემას აპირებსო. ეს ხმები და კორრესპონდენციები იმისთანა ქარაფშუტა ვაჭბატონებისაგან არის გავრცელებული და იმისთანა საზიზღარი მიზნით, რომ გაიგოთ, სწორეთ გეწყინებათ...

ამ სამი წლის წინათ სასწავლებლის სამმართველომ მღვდლების ფულით დაიქირავა სამი წლის ვადით მოსამზადებელი კლასებისათვის ოთხი სადუქნე ოთახი ექვსას მანეთად წელიწადში, სამღვდელოების ჰაზრის წინააღმდეგ. ყრილობამ ბევრი იძახა, სასწავლებელშიევე შეიძლება ოთახების გამონახვაო, ზედამხედველს ბევრი ოთახები უჭირავს და ერთი-ორი ოთახი უნდა ჩამოერთვასო, მაგრამ ყური არავინ ათხოვა. საავათმყოფო ოთახი იყო სასწავლებელში კარგა დიდი, იმ ოთახზე მეტი, რომლის ყიდვა ეხლა უნდათ; მაგრამ ესეც უფალმა ზედამხედველმა მოინდომა სტუმრების მისაღებად, და დაარქვა მასწავლებლების შესაკრებელი ოთახი. უ. ზედამხედველის თანაშემწეს სამი ოთახი აქვს. სასწავლებელში ამდენი ოთახები ამ ბატონებს აქვს დაჭერილი. სამღვდელოები ცოტა სხვა ნაირად იყვნენ დამზადებული ზედამხედველზე. ამის ძალით ოთხი ოთახი გამონახეს თვითონ სასწავლებელში. ესეც შეიძლებოდა ექმნა კაცს ამ სამი წლის წინეთ და ორი ათას მანეთამდე ტყუვილა არ დაეღუპა; მაგრამ ვინ იყო პატრონი...

ძველ სასწავლებლის წევრებსაც, განსვენებულ ქალანდარაშვილის დროს, ბევრი სჯა ჰქონდათ იმ სახლის ყიდვაზე, რომლის ყიდვა შეცდომით ეხლანდელ სამღვდელოების ყრილობას გადაწყვეტინეს, მაგრამ იმათ სასარგებლოთ ვერ დაინახეს იმის ყიდვა, (იმიტომ კი არა, რომ საავათმყოფო სახლის ყიდვა უსარგებლოდ მიაჩნდათ, არამედ იმიტომ, რომ ახალი სახლის გაკეთება ამჯობინეს იმ საძაგელი პლანით აშენებული კედლების ყიდვას, რომლის გაკეთება უფრო ძვირად დაუჯდება სამღვდელოების, ვინემ ახლის აშენება, და ეხლანდელმა სამართველოს წევრებმა კი არ იციან ეს ამისთვის, რომ ყველა გამოუცდელია შენობის საქმეში... მაგრამ რა გაეწყობა. უ. ზედამხედველმა ამას წინეთ თავის გასამართლებლად მოიყვანა სამღრთო წერილის სიტყვები: „არა არს უფლება, რომელიცა ღვთისაგან არ იყოს დადგენილი და ვინც მე მეწინააღმდეგება ის ღმერთს ეწინააღმდეგება!“

შაგირდების ავათ გახდომა და ყველა მათი სახლების გადახდა ქარისაგან ნამეტანი გაზვიადებული ამბებია. ამ გაზვიადებას მხოლოდ ის დანიშნულება აქვს, რომ გაიმართლონ თავი იმაში, რომ შაგირდები დაითხოვეს შინ და თვითონ ჯამაგირს იღებენ და აქეთ-იქით დაბრძანდებიან. ეხლა ისე თბილა ჩვენში, რომ მეტი არ შეიძლება. შეიძლებოდა ავათმყოფი ბავშვები დაეთხოვათ და არა ყველა. ჩვენ სასწავლებელში ჯერეთ ისე სუსტად ამზადებენ შაგირდებს, რომ მესამედს არ იღებენ სემინარიაში და ეხლა ხომ ძრიელ მოემზადებიან!.... იანვარში შეიძლება ქვენა-ქარი დაიწყოს და მაშინაც საჭირო შეიქმნება შაგირდების დათხოვნა!

ქუთაისში „ეპარხიის უწყებაების“ გამოცემას აპირებენო დამადლობა ღმერთს; ჩვენი სამღვდელოება ამით - განათლებას მიიღებენო! მთელი რუსეთის „ეპარხიის უწყებაები“ ერთ კარგ ჟურნალათ არ ღირს და ვნახოთ, იმერეთში იქმნება „თხამ მგელი დაიჭიროს!“... ამ უწყებაების რედაქტორს უმფრო ასარგებლებს ესე, ვინემ სამღვდელოებს, რადგან უფლება ექმნება ეკკლესიების ფულით გამოაწერინოს ყველას.

მეხუთე სასწავლებლის კლასის გახსნაზე ამას ვიტყვით: რაც სიკეთე ახალი ზედამხედველით მოემატა ჩვენს სასწავლებელს, ის ხეირი ამ მეხუთე კლასიდამ გამოვა და მალე ვნახავთ, რომ ამის გახსნას სამღვდელოება ნანობდეს, რადგან აქაც ჯამაგირის მომატების ჰაზრი მუშაობს და არა სხვა....

N. N.

ქუთაისი, 14 დეკემბერს.

„დროების“ კორრესპონდენცია

ზაქათალის მაზრიდგან, 9 დეკემბერს. იშვიათად შეხვდებით ზაქათალაში იმისთანა კაცსა, ანუ ქალსა, რომელიც არ ემდურებოდეს აქაურს ჰაერს; ამის მიზეზი ის არის, რომ ზაქათალა მდებიარებს სამხრეთით მთის ძირში, გარეშემორტყმული აქვს ვენახები და ბაღები, რომელნიც ირწყვებიან ხოლმე ხშირათ და ამის გამო ეძლევა ქალაქსა უმეტესი ნოტიობა; აგრეთვე ჩამოუდის გარეშემო მდინარები, საიდგანაც არიან გაყვანილნი ქალაქში პატარა რუები, რომელნიც, უპატრონობის გამო, სადაც დაგუბდებიან, გადავლენ თავისუფლათ ქუჩებზედ და მირახრახებენ თავისთვის. ზაფხულში აქ იცის საშინელი სიცხეები, ასე რომ დღითი ძნელია ხოლმე გარეთ გამოსვლა და საღამოზედ კი მიეცემა საშინელი ცვლილება ჰაერსა: გაცივდება ჰაერი, როდესაც დაკრავს ცივი მთის ქარი ამ სველ დედამიწას. ამ დროს ცივდება ხალხი და ხდებიან ავათ ციებითა. ძნელათ იქნება მოვიდეს ვინმე აქა ზაფხულში, რომ არ გააცივოს; ზამთარში კი არაფერი უშავს-რა.

მეორე მიზეზი ზაქათალის ცუდის ჰაერისა, ეს არის, რომ ქალაქი ინახება უწმინდურათ მცხოვრებლებისაგან, რადგანაც არავინ არის დამცველი ჯანმთელობის პირობებისა.

ამ მავნებელი ელემენტების მიმატებაში ჰაერში იღებენ მონაწილეობას ზაქათალის გაბერილი ტყუპები, (ხოლო ესენი არ არიან მიტყუპებულნი ზურგებითა, როგორც ბირმანის ტყუპები); მაგრამ მათ ძნელათ გამოარჩევს კაცი

ერთმანეთში, ისე გვანან; ამ ზემოხსენებულ ტყუპებსა აქვთ აქა აბრეშუმის ამოსახვევი ფაბრიკა და დანგრეული დუქანი. პირველი მათგანი, ესე იგი ფაბრიკა, დგას შუაგულ ქალაქში, საიდანაც ამ ჰაპანაქება სიცხეში ამოდის მყრალი ორთქლი და შავი კომლი, რომელსაც ყლაპავენ ჩვენი საწყალი მცხოვრებლები; მეორე მათგანი, ესე იგი დანგრეული დუქანი, დგას ორის საქენის სიშორითა ზაქათალის სასწავლებელზედ და მეედნის პირზედ, სადაც ხშირად დასეირნობს ხოლმე ზაქათალის საზოგადოება. ამას წინეთ ამ დუქანში გააღეს სამიკიტნო იმ ხსენებულმა ტყუპებმა; მაგრამ პოლიციამ დაუკეტა, შემდეგ გაჯავრებულებმა გააკეთეს ბოსელი, რომელიც ნახევრამდინ მოყრილია ტალახითა და ყველაფრის უწმინდურებითა, რადგანაც არას დროს არ გამოუწმენდიათ აქამდინ.

ამავე ზაქათალის ტყუპებმა აშენეს დუქანი იმ ძველ კედლებზედ, რომელიც გადარწვა იმ დროს, როდესაც თითქმის მთელი ზაქათალა გადაიწვა. ბრძანება იყო, რომ არავის არ შეეძლოს აშენება ძველ კედლებზედ; მაგრამ ამათ კი ასე მოახერხეს, არ ვიცი რა მიზეზია.

ერთი ისტორიული ორ-ეტაჟიანი ძველი შენობაც არის პირ-და-პირ პოლიციისა თავის ტალახიანი და უწმინდური ეზოთი. ამ შენობაში იყო ბათალიონის მიკიტანი თავის საყასპოთი, მყრალის ტყავებითა და ეზო საესე პირუტყვებითა; ამ წინაზედ გადავ და აქედანა. ეს როგორც ისტორიული ძეგლი სასიამოვნოა, რადგან მოგვაგონებს 1863 წელსა, როდესაც ლეკები მიადგნენ ზაქათალას ასაღებათ და ამ შენობას დატყობია უთვალავი ტყვიები; მაგრამ ერთს მშვენიერ დროს შეიძლება ჩამოწვეს და მოახდინოს ერთი უბედურება.

ახლა ერთი გადავხედოთ იმისთანა საგანსაც, რომელმანც გაგვიმხიარულოს გული...

ამას წინათ „დროებაში“ იყო დაწერილი, რომ ზაქათალის მაზრის სასწავლებელის ზედამხედველი ხშირათ თამაშობს ქალალდსაო, ასე რომ მთელი ღამე გათენებამდინ ეარჯიშობს ამ თამაშობაშიაო და შემდეგ სადილობამდინ მოსვენებას მისცემს თავსაო და ამიტომ აკლდება გაკვეთილებსაო, რომლის მიზეზის გამოც ბანდდება სასწავლებლის საქმეო. ძიდევ, ამბობენო, ამავე პირსა სხვა-და-სხვა წესები შემოუღიაო, მაგალითებრ: შეგირდებმა (პანსიონერებმა) ყოველს დღლით უნდა მოუაროონ თავიანთ საწოლ ოთახებსა და აგრეთვე პურის საჭმელ ოთახსა. უნდა ნახოთ ის სურათი, როდესაც თერთმეტი, თორმეტის წლის ყმაწვილები ფეხშიშველები დგანან და პოლსა წმენდამენ ჩვრებით ამ ცივ ზამთარში, სწორეთ შეგებრალებათ. სადილის საჭმელი ოთახები აქ ორია: ერთი მათგანი ცუდი და გრილის ჰაერითა, რომელიც ყოველ-დღე ასრულებს თავის დანიშნულებას; და მეორე, რომელიც უკეთესია თავის შეღებილის პოლითა, ის არის მაგრა დაკეტილი და შენახული იმ დღისთვის, როდესაც გამოჩენილი პირი ეინმე მოვაო. ქლასებსაც თურმე შეგირდები უვლიან და სწმენდამენო, აგრეთვე ახურებენო; ლამპებსაც შეგირდები უვლიანო; სუფრასაც და ჭურჭელსაც შეგირდები შლიან და ალაგებენ და სხვ.

რომ გავაგრძელოთ ბოლო არ ექნება ამ წესებსა. მაგრამ ვიკითხოთ ახლა—შემდეგ ამგვარი საქმეების ასრულებისა შეგირდები იქნებიან თავუსუფლათა თუ არა? არა მგონია. ის ლონისძიება, რომლითაც შეიძლება დაიცვას სისუფთავე და სიფაქიზე, ესე იგი აბანო—ამასაც თვეში ერთხელ ვერ ეღირსებიან, სადაც აბანო შიგ ეზოში არის და შეშაც ძალიან იაფი არის...

მაშ ეს თუ სულ მართალია, რაც ზემოთ ითქვა, რაღა დარჩენია გასაკეთებელი იმ მოსამსახურეებსა, რომელზედაც დადებულია 700 მანეთი?

ამბობენ, ამას გარდა, რომ ამავე უზედამხედველს ჯერაც არ მოსელიაო სასწავლებლისათვის და სასწავლებლის ხარჯით ამ 1877 წლის გამოწერილი ჟურნალები და სახელმძღვანელო წიგნებიო.

×

განცხადებანი

ქუთაისში—ბალახვანში ისყიდება

სამოსახლო ადგილები

ერთად და ცალკ-ცალკე.

უფრო დაწვრილებით შეტყობა შეიძლება ქუთაისში სვიმონ ივანეს ძეს მესხთან და თფილისში ელისაბედ ს. მარჯანოვთან (არსენალის ქუჩაზე, № 56), ბამაზოვის სახლები.

(5—4)

ქართული სახალხო სიმღერები
შეგროვილი და გამოცემული
ზაქ. ჭიჭინაძისაგან.
წიგნი პირველი.
ფასი ყველგან ერთი შაური

რკ. გზა.	დილ.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა. .	10	11	6	27	-	68	-	38
ბორი . .	11	58	9	43	2	40	1	23
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. .	1	44			4	42	2	46
უკირილა .	5	49			5	81	3	23
რიონი. . .	6	47			6	75	3	75
სამტრედია .	7	41			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
ფოთი. . .	9	40			9	75	5	42
ფოთი . .	9	13						
ახ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	11	16			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
უკირილა. .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი. .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი

	მ.	კაპ
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
ბორს, დყშეთს, სიღნაღს	-	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, პარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში.	3	75

ფოშტა

ა) თფილისიდამ: სამხეთვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდ. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ბატუმს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისსა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვიას გარდ. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში		
და საზღვარ გარეთ:		
ლა წიგნის	4	
ბეჭდილის (სამი ფისალი)	8	

ბირჟა

	მან.	კაპ
პეტერბურგი, 19 დეკემბ.		
ერთი ანგლიელი ლირს:		
ლონდონში 23 პენსი.	—	78
პარიეში 248 სანტიმი.	—	62
ესკონტი (სარგებლისფასი)	7½	
ბანკის ბილეთი 5%	95	50
მოგებიანი (პირველის ხ.	227	25
მოგებიან. (მეორე სესხი)	220	50
ბირაოს ფურცლები:		
ფილ. საზნ. ბანკისა.		
ხერსონის ბანკის 5%	85	25
მოსკოვის (5 %) . . .	85	50
აქციები:		
ოდესის საკერძო ბანკის	177	—
ფოთი-თფილ. რკინ. გზის	—	—
შავიზღვის ცეცხ. გემების	527	—
ბაკაბანის და მერკური	225	—
პირვ. საზღვეა. საზ.	745	50
პეტერბ. საზღვეა. ს.	235	50
მოსკოვის საზღვეა. საზ.	268	

მაზანდა

	მან	კაპ
თფილისი, 19 ქრისტეშ:		
ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფუთ.	2	20
ფქვილი წითელი . .	1	90
ბერი ფუთი . .	1	45
ბამბა ერევნისა, ფუთი .	9	75
— ამერიკისა, ფუთი . .	10	—
ბაპენტილი ბამბა ფუთი.	13	—
მატული ფუშური ფუ.	7	70
— ოარაქმისა ფუ. .	4	60
აბრეშუმი ნუხური ფუთ	145	—
ქონი, ფუთი. . .	5	60
ქონის სანთელი ფუთი.	7	70
სტეარინის სანთელი, ფ.	14	—
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	72
— ცხვრისა, ლიტრა. .	—	72
სპირტი, გრადუსი. .	—	16
შაქარი, ბოლ. ფუთი .	9	20
— ფხვნილი ფუთი . .	8	40
ულა გოგვალი, ფუთი .	28	—
ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	13	50
ოლეინ ½ იმპერიალი. .	8	20

Дозволено цензурою Тифлисъ, 21 Декабря 1877 г. Типографія Меликова. ბამბეცემელი ს. მელიქოვი. რედაქტორი ს. მესხი